№3 (279) 31.01 - 6.02. 2003 წელი

# ფანტაზია

პარასკევის გამოშვება
გამოდის 1996 წლიდან
ფასი 40 თეთრი

## კროსვორდები და ინტელექტუალური გასართობები



1. სახელი კაცისა,ვინც 1978 წელს ყველაზე მეტად გაახარა ლ.ი.ბრეჟნევი. 2. განგრენის სველი სახესხვაობა. 3. რუისიდან აწარმოეთ წარმომავლობითი სახელი და მიხვდებით ვისი სახელიც უნდა ჩაიწეროს აქ. 4. ძველი სომხეთის ისტორიულ-სტრატეგიული ციხე-ქალაქი. 5. ქალაქი,სადაც ვან გოგმა ყური მოიჭრა. 6. როგორი დღეები ტარდება ხოლმე ჩვენს დედაქალაქში მაისობით? 7. სკანდინავიელის მოსახსენიებელი სიტყვა ძველ რუსეთში. 8. ქალაქგარეთა სახლის სახესხვაობა. 9. აზიის სახელმწიფო. 10. „მატერთან“ დაწყვილებული სიტყვა. 11. სახელი და გვარი XX საუკუნის ცნობ. ინგლისელი მსახიობისა და რეჟისორისა. 12. ცალთვალა დევი. 13. მიწისძვრის საზომი შკალის შემქმნელი. 14. დიდროც და დე ვიტოც. 15. სახელი და გვარი აშშ-ს ახლო წარსულის ერთ-ერთი პრეზიდენტისა. 16. რომელ შტატში (-ში) მდებარეობს ქალაქი კოლუმბუსი? 17. ასე ვთქვათ, დროსტარება. 18. იაპონიის იმპერატორი 1989 წლიდან. 19. ნახევარმცველი - სხვაგვარად. 20. ჩვენი სცენისა და კინოს მურმანი. 21. მოლიერისეული ოინბაზი პერსონაჟი. 22. წყალში შეჭრილი ხმელეთი სკანდინავიაში. 23. ფილმ „განგაშის“ პერსონაჟი. 24. ცნობილი (ძველი) „ზნატოკი“. 25. ქიმიური ელემენტი. 26. იანოშ კორჩაკისეული მეფე. 27. ღამის ქუდი. 28. პატარა ცხენი. 29. როგორი ეპითეტი განსაზღვრავს ოპერატიული გაზეთის სიავკარგეს. 30. შუბლს აჯდება ხოლმე. 31. საბუნებისმეტყველო მეცნიერება. 32. XX საუკუნის იტალიელი მწერალი.

სხვათა შორის და ამასობაში, გაზეთობანას თამაშობაში ჩვენი გაზეთი შვიდი წლის გახდა




ფანტაზიის პირისპირ
გთავაზობთ ჩვენთან გასაუბრებას დღეს 9
უცნაური ამერიკელები
განსაკუთრებულობის ფაქტორი 12
ქვეყნები და ქალაქები
ლინგვისტურ-გეოგრაფიული ამოცანები 8

# გვაქვს ჩვენ «სუსტი რგოლები?»

დღეს შევეცდებით „პლეი-ბიზნესის“ ერთი ისეთი თამაშის შესახებ ვისაუბროთ, რაც ჩვენთან ჯერ არ შემოუტანიათ და, როგორც ჩვენ გვგონია, არც არასოდეს შემოიტანენ ერთი სპეციფიური მომენტის გამო, თუმცა ყველაფერს თადარიგიანად მივყვეთ:

მოსკოვის ცენტრალური ტელევიზია სათამაშო ბიზნესის დანერგვასა და აფიშირებაში დიდ მცდელობას ამჟღავნებს და ეს დღეს გამართლებულიცაა, რადგან ეს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მაყურებლის დაკავებისა რეკლამის მსვლელობისას. ამ ტელარხის (გარეგნულად) მრავალფეროვან თამაშებს შორის ყველაზე უფრო სპეციფიური და გამორჩეული ე.წ. „სუსტი რგოლი“ („**Слабое Звено**“) გახლავთ და აი რატომ:



ჯერ ერთი, რომ საკმაოდ კარგი „ინტერფეისი“ აქვს ანუ ჩვენებურად რომ ვთქვათ - იერს-სახე. მეორე საინტერესო მომენტი ისაა, რომ გადაცემა ქალს, **მარია კისელიოვას**, მიყავს (...და თურმე რა ქალს!), რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ სინქრონულ ცურვაში და ისეთი „იმიჯი“ აქვს შექმნილი, რომ რუსები აუცილებლად უწოდებენ მას „სტერვას“, არადა ფანტასტიურად სანდომიანი და მიმზიდველია სინამდვილეში (ამას მისი მონაწლეობა ადასტურებს სხვა გადაცემებში), უბრალოდ ეს კონტრასტულობა კიდევ ერთი ფაქტორია მაყურებლის დაკავებისა ეკრანთან. სხვათა შორის, როგორც თავად წამყვანი ამბობს ერთ-ერთ ინტერნეტულ ინტერვიუში, მას ამ გადაცემის წამყვანობაზე თავიდან უარი უთქვამს, რადგან პროდიუსერებისაგან ასეთი კატეგორიული მოთხოვნა მოუსმენია - „შენ მხოლოდ ის გევალება, რომ არასოდეს გაიღიმო ეკრანზე!“ - რაც წარმოუდგენლად ეჩვენა ბუნებით მომღიმარ და მხიარულ მარიას.

**თუმცა თავად თამაშზე ვისაუბროთ:**

თამაში სულ ორიოდე წლის წინ დიდ ბრიტანეთში წარმოიშვა და უკვე 40 ქვეყანაშია დანერგილი.

ასპარეზობას ფეხზე მდგომი რვა მოთამაშე იწყებს, რომლებიც ჩანაფიქრის მიხედვით ერთ გუნდს წარმოადგენენ. მათი ვალია დროის განსაზღვრულ მონაკვეთში რიგრიგობით მაქსიმალურად მეტ კითხვას გასცენ პასუხი, ყოველი რაუნდის დროის ამოწურვის შემდეგ კი ეს „ურთიერთკეთილმოსურნე ადამიანები“ ვალდებულნი არიან ყველაზე სუსტი მოთამაშე გააძევონ თამაშიდან და ეს ლოგიკურად დაასაბუთონ, რასაც თავად გაძევებულის, როგორც წესი, ერთობ არამეგობრული კომენტარიც მოსდევს ხოლმე და ასე გრძელდება მანამ, სანამ რვიდან ორი მოთამაშე არ დარჩება. ერთი სიტყვით, ზუსტად ისეთი სიტუაციაა, როგორიც ჭაბუა ამირეჯიბს აქვს აღწერილი გემზე კაციჭამია ვირთხას გამოყვანის დროს. ამიტომაც არაიშვიათად გუნდის წევრები „კრავენ პირს“ და თამაშიდან ყველაზე ძლიერ მოთამაშეს აძევებენ, რათა გზიდან ჩამოიცილონ კონკურენტი.

...კითხვებზე პასუხის გაცემის პარალელურად მოთამაშეები სწორი პასუხისათვის საპრიზო ფონდით გათვალისწინებული თანხიდან ასახელებენ საერთო ბანკში ჩასადები თანხის რაოდენობას და ამით ფინალამდე მიღწეული მოთამაშისათვის ქმნიან სტიმულს...

***

ჩვენთან კი ამ თამაშს ერთი უბრალო მიზეზით ვერ გადმოტანენ (ჩვენი აზრით!):

აბა, წუთით წარამოიდგინეთ ასეთი ვითარება - ვიღაც „ვიგინდარები“ თქვენ (ოჯახის სიამაყეს!) გაძევებენ თამაშიდან!

ჰოდა, თუ წარმოიდგინეთ, თამაშის დასრულების შემდეგ რაც დაემართებათ თქვენს გამძევებლებს, ძნელი მისახვედრი არ არის...

...აი, ამიტომაც ვერ ვითამაშებთ საქართველოში „**Слабое Звено**“-ს (ჩვენი აზრით!)




ჩვენი მკითხველები გვირეკავენ და კვლავაც საკროსვორდო ჩემპიონატის ბედ-იღბალზე გვესაუბრებიან...
სამწუხაროდ, ჩვენ ამგვარ ტურნირებს უახლოეს მოაზრებულ მომავალში ვეღარ ჩავატარებთ...
მოუაზრებელზე კი ვერაფერს გეტყვით.

# შევინარჩუნოთ კროს-რეიტინგი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 1 | 2 | | | | 3 | | ■ | 4 | 5 | | 6 | | ■ |
| 7 | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | 8 | ■ | | ■ | | ■ | 9 |
| 10 | | | | ■ | 11 | | | | | | | | | |
| | ■ | | ■ | 12 | ■ | | ■ | | ■ | | ■ | | ■ | |
| | ■ | ■ | 13 | | | | | | | ■ | 14 | | | |
| | ■ | 15 | ■ | | ■ | | ■ | | ■ | 16 | ■ | | ■ | |
| 17 | | | | | | ■ | 18 | | | | | | | ■ |
| | ■ | | ■ | | ■ | 19 | ■ | | ■ | | ■ | | ■ | 20 |
| ■ | 21 | | | | | | | ■ | 22 | | | | | |
| 23 | ■ | | ■ | | ■ | | ■ | 24 | ■ | | ■ | | ■ | |
| 25 | | | | ■ | 26 | | | | | | | ■ | ■ | |
| | ■ | | ■ | 27 | ■ | | ■ | | ■ | | ■ | 28 | ■ | |
| 29 | | | | | | | | | | ■ | 30 | | | |
| | ■ | | ■ | | ■ | | ■ | | ■ | ■ | ■ | | ■ | |
| ■ | 31 | | | | | ■ | 32 | | | | | | | ■ |

***ერთი სწორი პასუხი ერთი ქულაა.***
***პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე***

პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე

1. „გეომეტრიული ვითარება“, როცა დამტკიცებას არაფერი საჭიროებს. 2. „ბალახი ვარ მთისა“ - ასე იწყებს ვაჟა-ფშაველა ერთ თავის მოთხრობას... რომელი ბალახი იგულისხმება? 3. საკვები ბალახის სახესხვაობა. 4. ერთ-ერთი პოპულარული საშოპტურო ქალაქი ახლო წარსულში ქართველთათვის. 5. ე.წ. „დავიწყების მდინარე“ ბერძნული მითოლოგიის თანახმად. 6. უდანაშაულობას შეიძლება „ესეც“ გააჩნდეს. 7. უკრაინის დედაქალაქი 1935 წლამდე. 8. ფრანგული წარმოშობის სამეჯლისო ცეკვა. 9. იხილეთ ფოტო №1 და ამ ქართველი მწერლის გვარი გაიხსენეთ. 10. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი პოზიცია. 11. სახელი, რომელიც ჩვენში თურმე საპარიკმახეროსაც კი შეიძლება ეწოდოს (თავად გვინახავს). 12. „სპორტული დანიშნულების“ შენადნობი. 13. შვედეთის ჰოკეისტთა გუნდს სხვაგვარად ჰქვია „ტრე (.........)“ . 14. ბუდისტთა გარკვეული ნაწილის რელიგიური მოძღვარი და ლიდერი. 15. შუა ხანს მიღწეული მამაკაცების მთავარი მტერი დაავადება. 16. სათავადაზნაურო ტიტული ინგლისში. 17. 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი ფინელი სტაიერი. 18. ერთგვარი აღვირი. 19. სპორტული რბოლის სახეობა, რომელიც ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „ჩქარი გზა“. 20. ობობას სახეობა. 21. დაზგური ანაბეჭდი ან გრავიურა. 22. იმრე კალმანის ოპერეტა. 23. არალიტერატურული სიტყვა, რაც ჩვენში დამკვიდრდა საშინელებათა ფილმის მოსახსენიებლად. 24. პატარა ძვირფასბეწვიანი ცხოველი. 25. სახელი კაცისა, რომელიც XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ხელმძღვანელობდა მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს. 26. ჩვენი ძველი დროის საქორწილო რიტუალების ითქმის აუცილებელი პერსონაჟი. 27. სახის შემადგენელი ნაწილი. 28. რა არის სამშობლო აკაკისთვის ერთი ლექსის თანახმად? 29. სიჩქარის გასაზომ-დასაფიქსირებელი ხელსაწყო. 30. კონსტანტინე გამსახურდიასეული ერთი მოთხრობის პერსონაჟი ქოსა. 31. მდინარე, რომელმაც ერთი ყოფ. საბჭოური რესპუბლიკის დედაქალაქის სახელი წარმოშვა. 32. თქვენი აზრით, რა გვარი შეიძლება იყოს მეორე ფოტოზე ასახული ქართველი მსახიობი ქალი?


1


2

**1-8 ქულა - დამწყები შემვსებ-მკითხველი „ფანტაზიისა“.**

**9-16 ქულა - „ისე რა“ შევსება.**

**17-24 ქულა - ოსტატური გამოსვლა.**

**25-30 ქულა - დიდოსტატის შედეგი.**

**31-32 ქულა - ბრავო, მაესტრო!**

დაბადების დღეს, 3 თებერვალს
და 20 წლის შესრულებას
ვულოცავთ ბატონ ლევანს და
ვუსურვებთ ბედნიერებას ოჯახური
ცხოვრების მომავალ დიდ გზაზე

*დედ-მამა და ძმა*





78

## William Shakespeare (1564-1616) Sonnets

## უილიამ შექსპირი სონეტები

**So oft have I invoked thee for my Muse**
**And found such fair assistance in my verse**
**As every alien pen hath got my use**
**And under thee their poesy disperse.**
**Thine eyes that taught the dumb on high to sing**
**And heavy ignorance aloft to fly**
**Have added feathers to the learned's wing**
**And given grace a double majesty.**
**Yet be most proud of that which I compile,**
**Whose influence is thine and born of thee:**
**In others' works thou dost but mend the style,**
**And arts with thy sweet graces graced be;**
**But thou art all my art and dost advance**
**As high as learning my rude ignorance.**

С.Я. МАРШАК

Тебя я музой называл своею
Так часто, что теперь наперебой
Поэты, переняв мою затею,
Свои стихи украсили тобой.
Глаза, что петь немого научили,
Заставили невежество летать, -
Искусству тонкому придали крылья,
Изяществу - величия печать.
И все же горд своим я приношеньем,
Хоть мне такие крылья не даны.
Стихам других ты служишь украшеньем,
Мои стихи тобою рождены.
Поэзия - в тебе. Простые чувства
Ты возвышать умеешь до искусства.

А.М. ФИНКЕЛЬ

Так часто Музой ты моей была,
Мне помогая вдохновенным словом,
Что и другие перья без числа
Стихи кропают под твоим покровом.
Твой взор немому голос возвратит,
Летать научит грузное бессилье,
Изяществу придаст вельможный вид,
Учености добавит перьев в крылья.
Но ты гордись лишь творчеством моим:
Оно твое и внушено тобою.
Пусть блеск ты придаешь стихам чужим
И улучшаешь творчество чужое, -
Мое искусство - это ты сама,
На нем сиянье твоего ума.

* * *

შენ, როგორც მუზამ, შთამაგონე იმდენი ლექსით,
იმდენ ნაკადულს გამადევნე, როგორც სათავემ,
რომ თვალთმაქცებიც, სახელად თუ პოეტი ეთქმით,
ხოტბას გასხამენ და ჰგონიათ, ლექსებს ხლართავენ.
მუნჯსაც ჰგონია, შენს თვალებთან შეძლებს საუბარს,
მავან ხეიბარს შენთან თავი გმირი ჰგონია,
თითქოს განგებას ჯადოსნობის ქსელი გაუბამს
და ყველა მისი ვერაგობა მონაგონია.
შენც ნუ გგონია, ვინც გაღმერთებს მხოლოდ მისი ხარ,
მლიქვნელთა ბრბოებს შენსკენ სავალ გზას რა დაულევს
შენ სხვებისათვის მხოლოდ ლექსის სამშვენისი ხარ
და გიმართავენ პირფერობის დღესასწაულებს.
შენს სიყვარულში დაიხვეწა ჩემი გონება,
რადგან ხარ ჩემი აღმაფრენა და შთაგონება,

**თარგმნა ალ.ელერდაშვილმა. 28.01.2003.**



**თარაზულად:** 4. იტალიის ოლქი, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც ფლორენციაა. 10. ვინი-პუჰის გამხმოვანებელი ცნობილ მულტფილმში. 11. ანჟელიკას როლის შემსრულებელი ფრანგი ლამაზმანი. 12. ქალაქი ფინეთში, სადაც, მსოფლიოში ერთადერთი, მუმიტროლების მუზეუმი მდებარეობს. 13. მოცარტის „ფიგაროს ქორწინების“ და როსინის „სევილიელი დალაქის“ საერთო პერსონაჟი გრაფი. 14. რა არსებობს „მხიარული“ ქართულ კინემატოგრაფში? 15. ყველაზე ცნობილი იმ ადამიანებს შორის, ვისაც ცხოვრებაში თავზე ვაშლი დასცემიათ. 16. ქართველი დრამატურგი, ავტორი პიესისა „მზის დაბნელება საქართველოში“. 17. რეკორდების წიგნი. 18. იაპონიის ახლანდელი იმპერატორი. 22. ამაზონის წყლებში მობინადრე „სისხლისმსმელი“ თევზი. 26. არსებობს ასეთი მოლუსკი, რომელსაც რუსულად **Каракатица** ეწოდება... რა ეწოდება ამ არსებას ქართულად? 29. ოტარინოლარინგოლოგიის დარგი, ცხვირის აგებულებას, ფიზიოლოგიას და პათოლოგიას რომ სწავლობს. 30. იოდი, ქსენონი, ცეზიუმი, ბარიუმი... რომელია შემდეგი? 31. დიდი საწნახელი. 32. ესპანელი ფერმწერი, ლიონ ფოიხტვანგერმა ბიოგრაფია რომ მიუძღვნა. 33. თანამედროვე საკმაოდ პოპულარული ირლანდიელი მომღერალი ქალი. 34. ქალაქი კუნძულ მადაგასკარის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. 36. მრავალი სიტყვის წინსართი, ფუძე ძვ. ბერძნული აქვს და აღნიშნავს „თეთრს“. 37. თანამედროვე იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ფლაგმანი-მწვრთნელი. 38. ამ ტროპიკულ ხილს „ალიგატორის მსხალს“ უწოდებენ... ხილი? 42. ფრანგი მსახიობი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმებში „ძველი თოფი“ და „აფრიკელი“. 43. ასაფეთქებელი მოწყობილობა. 47. მეფის კარზე პრინცესის მხლებელი გაუთხოვარი ქალი წარსულის ევროპის სამეფო კარზე. 48. ის, რაც ხელოვანს ხელოსნისაგან განარჩევს. 50. მიცვალებულთა „ძალზედ მოყვარული“ ადამიანის მოსახსენიებელი სიტყვა. 51. გასართობ-რელიგიური სანახაობა შუა სს ევროპაში. 52. „ციხე-სიმაგრე“ - ფრანგულ ენაზე (გსმენიათ ბატონო, გსმენიათ!). 53. საქორწილო სიმღერა ან ლექსი ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში.

**შვეულად:** 1. ინგლისელი მწერალი, რომელმაც განუმარტა ბავშვებს თუ რატომ აქვს სპილოს ხორთუმი, ჟირაფს გრძელი კისერი და ლეოპარდს ლაქები. 2. რუსეთის ტვ-დიქტორი, არინა... 3. კომპიუტერის შემადგენელი პერიფერიული მოწყობილობა. 4. პლანეტა ურანოსის თანამგზავრი. 5. ქალაქი სამხრეთ თურქეთში. 6. მალეაქროლადი უფერული სითხე, ერთობ გამორჩეული სუნის მქონე. 7. სახელი კაცისა, რომლის სახელიც 38 მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორიას ეწოდა. 8. აღორძინების ხანის იტალიელი არქიტექტორი, დონატო... 9. კოვბოების ხანაში, აშშ-ს ბარებში ეკიდა ასეთი წარწერა - „ნუ ესვრი მას, ის „შრომობს“ ისე, როგორც შეუძლია“... მაშ, ვინ იყო ის, ვისთვისაც არ უნდა ესროლათ კოვბოებს? 19. რაიმე ტიტულისა თუ თანამდებობის მაძიებელი პირი. 20. სტუმრების მისაღები ოთახი, ტრადიციულ ინგლისურ საცხოვრებელ სახლებში. 21. ქალაქი-პორტი აზოვის ზღვაზე, როსტოვის ოლქში (ქვეყანას არ გეტყვით!). 22. რა შეიძლება იყოს „კვირისა“ ქართულ პრესაში? 23. მადრიდის „რეალის“ ბოლო დროის ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი. 24. ჰოლივუდში 1953 წელს გადაიღეს ფილმი, მთავარ როლებს მერილინ მონრო და კლარკ გეიბლი ასრულებდნენ... რა ჰქვია ფილმს? 25. როგორ გამოითქმის „მადლობა“ იაპონურ ენაზე? 26. რუსეთის კუთვნილი კუნძული ოხოტისა და იაპონიის ზღვებს შორის. 27. მტრის ზურგში მეომარი ჯარისკაცი. 28. რაიმე იდეის ან მიმდინარეობის ფანატური დამცველი. 35. გადასახადი მიწით სარგებლობისათვის ძველ საქართველოში. 39. რომელი ქართველი ღირსშესანიშნაობის სახელწოდებაა დაკავშირებული თამარის ახლო ნათესავთან? 40. ხმის ამოღების სიტყვა. 41. მოსწავლის აღჭურვილობის ნივთი, რომლის საშუალებითაც მასწავლებელი მშობელთან ინფორმაციას გზავნის. 43. რემბრანდტ ვან რეინის ყველაზე ცნობილი ფერწერული ტილო. 44. ეს სახელი ჩვენში ქალსაც ჰქვია და კაცსაც. 45. კუნთოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე. 46. ჩრდილოეთის ზომიერი სარტყლის წიწვოვანი ტყე. 48. ლაქა, ხარის შუბლზე. 49. ბუს მსგავსი ღამის ფრინველი.

# 1911 წელი

**17 იანვარი** - საფრანგეთში განხორციელდა არისტიდ ბრიანის მკვლელობის მცდელობა, როცა ის დეპუტატთა პალატაში იმყოფებოდა.

**25 იანვარი** - მექსიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომში მონაწილეობის მისაღებად აშშ აგზავნის თავისი კავალერიის ნაწილებს კონკრეტული მიზნით - შეინარჩუნოს რიოგრანდეს პროვინციის ნეიტრალიტეტი და დაიცვას საკუთარი საზღვრები აჯანყებულთა შესევისაგან.

**10 თებერვალი** - ფინანსური რეფორმების გასატარებლად სპარსეთი იწვევს ამერიკელ სპეციალისტს, უ.მორგან შასტერს.

**22 თებერვალი** - კანადის პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას, შეინარჩუნოს კავშირი ბრიტანეთის იმპერიასთან, თუმცა იტოვებს ფინანსების კონტროლირების უფლებას.

**25 მარტი** - ნიუ-იორკის „ტრიენგლ შეტუეისტ კომპანის“ ოფისში მომხდარი ხანძრის შედეგად იღუპება 140 ადამიანი.

**3 აპრილი** - ბრიტანეთი და იაპონია ხელს აწერენ შეთანხმებას სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ.

**4 მაისი** - ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრს განსახილველად გამოაქვს კანონი სამედიცინო დაზღვევის შესახებ.

**23 მაისი** - რუსეთი მოითხოვს თურქეთისაგან, რომ ჯარები განაშოროს ჩერნოგორიის საზღვრებს.

**25 მაისი** - ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში მიმდინარე არეულობათა შედეგად მექსიკის პრეზიდენტი პორფირიო დიასი იძულებულია გადადგეს თანამდებობიდან.

**13 ივნისი** - არჩევნების შედეგად ავსტრიის ხელისუფლების სათავეში სოციალისტები მოდიან.

**22 ივნისი** - მეფე გეორგ V-ის კორონაცია ლონდონის ვესტმინისტერის სააბატოში.

**28 ივნისი** - იაპონია ხელს აწერს შეთანხმებას საფრანგეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ.

**1 აგვისტო** - დიდ ბრიტანეთში იწყება ტრანსპორტის მუშაკთა გაფიცვა, რის გამოც დიდ ქალაქებში აწესებენ კომენდანტის საათს.

**20 აგვისტო** - ჰამბურგში კაიზერი ვილჰელმ II ოფიციალურად აცხადებს გერმანიის პრეტენზიებს „მზისქვეშეთში“.

**11 სექტემბერი** - აშშ-ს მენის შტატში ახორციელებენ მცდელობას „მშრალი კანონის“ უარსაყოფად.

**14 სექტემბერი** - რუსეთში კლავენ პრემიერ-მინისტრ სტოლიპინს.

**9 ოქტომბერი** - პორტსმუტში (სამხრეთი ინგლისი) ზღვაში უშვებენ უდიდეს ჯავშნოსან ხომალდ „მეფე გეორგ V“-ს.

**17 ოქტომბერი** - თურქეთი ჰპირდება ბულგარეთს, რომ გაიყვანს ჯარებს.

**26 ოქტომბერი** - გამოცხადდა ჩინეთის რესპუბლიკა.

**6 ნოემბერი** - მექსიკის პრეზიდენტი ხდება ფრანსისკო მადერო.

**7 დეკემბერი** - ჩინეთში უარყოფენ კანონს კიკინების ტარების აუცილებლობის შესახებ და იწყებენ კალენდრის რეფორმას.

**საზოგადოება, განათლება, რელიგია.**

- აშშ-ს კალიფორნიის შტატში ქალებს თანაბარ უფლებებს ანიჭებენ მამაკაცებთან მიმართებაში.

- პორტუგალიაში ეკლესიას სახელმწიფოსაგან აშორებენ.

- ინგლისში, ლონდონის დეპტფორდის რაიონში ხსნიან პირველ საბავშვო ბაღს.

**მეცნიერება, ტექნიკა, აღმოჩენები.**

- აქვეყნებენ საფრანგეთის აეროსანავიგაციო სივრცის რუკას.

- ნორვეგიელი მოგზაური რუალ ამუნდსენი აღწევს სამხრეთ პოლუსს (15 დეკემბერი).

- ამერიკაში კ.ფ. კეტერინგი ქმნის პირველ ეფექტურ სტარტერს შიდა წვის ძრავის ასამოქმედებლად.

- ერნესტ რეზერფორდი აქვეყნებს შრომას ატომის ბირთვის აგებულების შესახებ.

**ხელოვნება**

*პარიზში, „დამოუკიდებელთა სალონში“ იწყება კუბისტების ნამუშევართა გამოფენა, რაც საზოგადოების კულტურული მოვლენა ხდება, თუმცა გამოფენაზე პიკასოს და ბრაკის ტილოები არ იყო წარმოდგენილი.*

**- ფერწერა**

- *მარკ შაგალი.* ქედის მოხრა აპოლინერის წინაშე (დასრულდა 1913 წელს).

- *პაბლო პიკასო.* აკორდეონისტი.

- *ანრი მატისი.* წითელი სტუდია.

- *ხუან გრისი.* მამაკაცი კაფეში.

- *ჟორჟ ბრაკი.* პორტუგალიელი კაცი (პირველი ნახატი, რომელშიც გამოყენებულ იქნა სტილიზებული გრაფიკული ასოები).

**ქანდაკება**

- *ამედეო მოდილიანი.* თავი (დასრულებულია 1913 წელს).

**მუსიკა**

- *ედვარდ ელგარი.* სიმფონია №2.

- *მორის რაველი.* ესპანური საათი (ოპერა).

- *იან სიბელიუსი.* სიმფონია №4.

- *იგორ სტრავინსკი.* პეტრუშკა (ბალეტი).

- *რიჰარდ შტრაუსი.* ვარდების კავალერი (ოპერა).

**ლიტერატურა**

- *გ.კ.ჩესტერტონი.* მამა ბრაუნის უმწიკვლობა.

- *ჯოზეფ კონრადი.* დასავლეთი.

- *თეოდორ დრაიზერი.* ჯენი გერჰარდტი.

- *კეტრინ მენსფილდი.* გერმანულ პანსიონში.

- *რაინერ მარია რილკე.* ორი ელეგია.

- *ჰერბერტ უელსი.* ახალი მაკიაველი.

**დრამა**

დუბლინის მოდერნისტული თეატრი „აბი“ იწყებს თავის პირველ საგასტროლო ტურნეს აშშ-ში.

**კინემატოგრაფი**

- დევიდ ჰარსლი ჰოლივუდში ქმნის პირველ სტუდიას.

- „ანა კარენინას“ პირველი ეკრანიზაცია ჰოლივუდში.

- „ქალი კამელიებით“ - მთავარ როლში სარა ბერნარი.

**ყოფაცხოვრება**

- პარიზში, ლუვრიდან იპარავენ ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“ (21 აგვისტო).

**სპორტი**

- რაგბისტთა ხუთი ერის თასის გათამაშებაში უელსი ხდება პირველი გამარჯვებული.

- ლონდონის უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირზე ერთეულ ქალთა გათამაშებაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას აღწევს დოროთი ლამბერტ ჩემბერსი.

**6 თებერვალს** დაიბადა რონალდ რეიგანი.

**5 ივლისს** დაიბადა ჟორჟ პომპიდუ.

# აფორიზმების ანთოლოგია

332. განათლება არის ის, რაც რჩება იმ ცოდნის დავიწყების შემდეგ, რასაც იძულებით გვასწავლიდნენ.

**(ჟორჟ ჰალიფაქსი)**

* * *

333. განათლება არის ის, რასაც უმრავლესობა იღებს, ბევრი გადასცემს და მხოლოდ მცირეოდენ ნაწილს გააჩნია.

**(კარლ კრაუსი)**

* * *

334. განათლება არის ის, რაც არსებობის საშუალებას გვაძლევს გონების დიდი დაძაბვის გარეშე.

**(ალბერტ უიგამი)**

* * *

335. გონიერი ადამიანი არასოდეს გამოავლენს თავის უნარს საჭიროების გარეშე.

**(უცნობი ავტორი)**

* * *

336. განათლების მიღების პროცესი დამღუპველია ყველასათვის, ვისი სულიც ხელოვნებასაა ნაზიარები. განათლება ჩინოვნიკებისათვის უნდა არსებობდეს, თუმცა, შესაძლოა, მათთვისაც გახდეს ლოთობის მიზეზი.

**(ჟორჟ მური)**

* * *

337. მხოლოდ განათლებულს აქვს ცოდნის შეძენის სურვილი. ბრიყვები სხვის სწავლებას ამჯობინებენ.

**(ედუარ ლე ბერკიე)**

* * *

338. განათლებას შეუძლია სულელი ჭკვიანი გახადოს, თუმცა სისულელის საწყისებს მაინც ვერასოდეს ამოძირკვავს.

**(ედმ-პიერ ბოშენი)**

* * *

339. ის, რასაც ჩვენ სკოლებსა და უნივერსიტეტებში გვასწავლიდნენ, არის არა განათლება, არამედ განათლების მისაღები გზის დანახვა.

**(რალფ ემერსონი)**

* * *

340. ბევრი უნდა ისწავლო, რომ ცოტა რამ იცოდე.

**(შარლ მონტესკიე)**

* * *

341. განათლებული ადამიანი არის ის, ვინ იცის, თუ სად უნდა ეძებოს ის, რაც არ იცის.

**(გეორგ ზამელი)**

* * *

342. ქალი უნდა იყოს განათლებული და არა მეცნიერი.

**(ჟიული დე ლესპინასი)**

* * *

343. კარგი განათლება უფრო მეტის შეძენის სურვილს უნდა ბადებდეს.

**(ალან გრეგი)**

* * *

344. ზოგს განათლება ვაშლი ჰგონია, რასაც მოკბეჩით შეამცირებ.

**(უცნობი ავტორი)**

* * *

345. ვინც განათლების მწვერვალებს მიაღწევს, უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ თითქმის ყველა მისი წინააღმდეგი იქნება.

**(იოჰან ვოლფგანგ გოეთე)**

* * *

346. განათლების ფასეულობა ყველაზე მეტად მაშინ ჩანს, როცა განათლება საშუალებას იძლევა ისეთ საგნებზე იმსჯელო, რომლებიც ამ განათლების ჩარჩოებში არ არის მოქცეული.

**(კარლ კრაუსი)**

* * *

347. თურმე შეიძლება იყო განათლებული, მაგრამ ცოდნის ნასახი არ გაგაჩნდეს.

**(უცნობი ავტორი)**

* * *

348. ინტელიგენტი არის პარაზიტი, რომელიც კულტურის გამომწვევი მიზეზი ხდება.

**(ტადეუშ კოტარბინსკი)**

* * *

349. ინტელიგენტს ბიოგრაფია კი არა, წაკითხული წიგნების სია აქვს.

**(ოსიპ მანდელშტამი)**

* * *

350. მეცნიერის ტიტული არ ართმევს ადამიანს უფლებას, რომ ინტელიგენტი ერქვას.

**(ლ.ა.ბრიჯი)**

* * *

351. ინტელიგენტი არის პიროვნება, ვისაც ადამიანებზე ბევრად უკეთესი წარმოდგენა აქვს, ვიდრე ადამიანებს - მასზე.

**(ბორის კრუტიერი)**

* * *

352. ნახევრად ინტელიგენტი არის ადამიანი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ არ ავს საშუალო.

**(უცნობი ავტორი)**

* * *

353. ყოველ ას კაცზე, ვისაც შეუძლია წერა-კითხვა, მოდის ერთი, ვისაც შეუძლია ფიქრი.

**(ჯონ რესკინი)**

* * *

354. უფულობა სულაც არ ნინავს კულტურულობას.

**(იანინა იპოხორსკაია)**

* * *

355. იყავი გონიერი, განათლება თავისით მოვა.

**(ჯონ რესკინი)**



განათლება ეს არის ყალბი სამკაულების დახვავების პროცესი ნამდვილი თვლების წინ

# ფანტაზიის ისტორიიდან - 1997

## საკროსვორდო ლირიკა



1. დღესდღეობით ვინც არ არის
ან ჩალიჩა ანდა ცქვიტი,
მასთან ბუდეს არ დაიდებს
საიღბალო ჩიტი-გვრიტი.
მიდექ-მოდექ, თუ გსურს გქონდეს
ლარი, რუბლი, ლატი, ლიტი
და ოჯახის ფონდში ჩადო
ალმასი და (..........)

2. არა, ძმაო, გიქად არ გთვლი,
ზიზღი არ მაქვს შენდამი,
მე უბრალოდ მონე მომწონს,
სალვადორი, შენ - დალი,
მე სწორ ფორმას - მედალს ვიტყვი
შენ თქვი (რა ვქნა?!) „მენდალი“,
ეჰ, არც მე ვარ ბალზაკი და
არც შენა ხარ (..........)

3. ლექსებს არ ვწერ, უჩემოდაც
ბევრი ყრია „მგოსანი“,
ბევრს ჰგონია, რომ მის კალამს
სცვივა ვარდი... სოსანი.
თაგვი ჩიტი ვერ გახდება
და ვერც თრია - ფრთოსანი,
ჰოდა, მიჯობს საკროსვორდო
ვმარცვლო (................)

4. დიდი წვიმა მოვიდა და
გზებზე წყალი დატოვა,
ნიაღვარმა არემარე
დააგუბა, დატბორა,
ყველას გული გაუწვრილა,
საქმე „გაატრაქტორა“,
იქით დარჩა სოფლის კლუბი,
აქეთ - სოფლის (..........)

5. ჩვენმა დიდმა საზ. მოღვაწემ
ფრანგულიდან თარგმნა „იზა“
და მას შემდეგ ფრანგთა მწერლებს
მუდმივი აქვთ ჩვენში ვიზა.
იტალიას თუ იკითხავთ,
მათ ენგრევათ თავზე პიზა,
ფრანგებმა კი „დააწერეს“
მათ და ვინჩის (..............)

6. ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელოს
ვსვამდით ღუქან-ღუქან და
ვახვავებდით უსინდისოდ
სიტყვებს მსუქან-მსუქან და
საქართველოს სიყვარული
ვფლანგეთ წინ და უკან და
ვაჰ, რომ ახლა ყველა გვჯობნის -
ზიმბაბვე და (..............)

7. ვინც ქართველმა კაცმა შექმნა
და ქართველმა ქალმა შობა,
ღმერთმანი, რომ უნდა ჰქონდეს
ქართულ სიტყვის წარმადობა.
მაგრამ ვაჰ, რომ ეროვნული
მიგვდის დაღმა-დაღმა გრძნობა
და უცხოურ ლექსიკაში
ქრები ჩვენი (..............)

8. როგორც მჭამელს, მეც მითლია
ვაშლისა თუ კიტრის კანი
და, როგორც მსმელს, დამინახავს
ძირი ბევრი ლიტრისანი.
მე, ფილოლოგს, გამიგია
სიტყვის ზნე და სიტყვის განი,
თუმც, ღმერთს ვფიცავ, მე სხვებივით
არ ვყოფილვარ (..............)

9. გული ისევ ამიჯანყდა -
წაი-სტეპან-რაზინა,
სულ ერთთავად დამიცალა
სიყვარულის ხაზინა.
თუკი სადმე კარი ჰქონდა,
ყველა ჩამარაზინა,
დღეს ქალს არ ვცნობ, თუნდაც იყოს
ლორენი ან (..............)

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 26 | 5 | 4 | 7 | 15 | 13 | 6 | 2 | 24 | 11 | 29 | 31 | 28 | 11 | 28 | ■ |
| 6 | ■ | 6 | ■ | ■ | ■ | 2 | ■ | 11 | ■ | 2 | ■ | ■ | ■ | 29 | ■ | 6 |
| 17 | 28 | 27 | 28 | ■ | 5 | 7 | 18 | 28 | 2 | 6 | 5 | ■ | 5 | 7 | 23 | 5 |
| 4 | ■ | 29 | ■ | 6 | ■ | 28 | ■ | 6 | ■ | 2 | ■ | 10 | ■ | 18 | ■ | 7 |
| 1 | 29 | 11 | 28 | 19 | 28 | ■ | 5 | 27 | 29 | 14 | 13 | 28 | 16 | 28 | 25 | 28 |
| 29 | ■ | 2 | ■ | 29 | ■ | 19 | ■ | 28 | ■ | 2 | ■ | 5 | ■ | 20 | ■ | 14 |
| 25 | 2 | 24 | 2 | ■ | 18 | 29 | 20 | 5 | 14 | 18 | 28 | ■ | 22 | 2 | 33 | 5 |
| 29 | ■ | 1 | ■ | 28 | ■ | 24 | ■ | 20 | ■ | 2 | ■ | ■ | ■ | 11 | ■ | 16 |
| 11 | 28 | 5 | 14 | 24 | 28 | ■ | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ■ | 9 | 2 | 11 | 28 |
| 28 | ■ | 12 | ■ | 11 | ■ | ■ | ■ | 18 | ■ | 28 | ■ | 30 | ■ | 24 | ■ | 5 |
| ■ | 8 | 28 | 21 | 15 | 25 | 29 | 1 | 28 | 5 | ■ | 32 | 15 | 14 | 28 | 5 | ■ |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 5 | მ | | ღ | |
| ბ | | ნ | | ყ | 3 |
| გ | | ო | 2 | შ | |
| დ | | პ | | ჩ | |
| ე | | ჟ | | ც | |
| ვ | 4 | რ | 1 | ძ | |
| ზ | | ს | | წ | |
| თ | | ტ | | ჭ | |
| ი | | უ | | ხ | |
| კ | | ფ | | ჯ | |
| ლ | | ქ | | ჰ | |

# ფანტაზიის კითხვები

**ამ გვერდზე მოთავსებული კითხვების პასუხები წარმოდგენილია მე-14 გვერდზე. ასე რომ, შეგიძლიათ დღესვე ითამაშოთ**

### პირველი რაუნდი

1. რა ეწოდება რიცხვის მეათასედ ნაწილს?
2. რომელმა ქართველმა მწერალმა დაწერა სცენარები ფილმებისათვის „დიდი მწვანე ველი“ და „ბებერი მეზურნეები“?
3. როგორ გამოითქმის გერმანულ ენაზე „საოცარი ბავშვი“?
4. რომელ ქალაქში დასაჯეს სიკვდილით საბჭოელი მზვერავი რიჰარდ ზორგე?
5. რომელი ქალაქი იყო ჰოლანდიელი ფერმწერის, ვერმეერის მშობლიური ქალაქი?

### მეორე რაუნდი

6. რომელ ინგლისურ როკ-ჯგუფს ეკუთვნის სიმღერა „**Stairway to heaven**“?
7. ვინ არის რეჟისორი 1960 წელს ჰოლივუდში გადაღებული ფილმისა „სპარტაკი“?
8. ვინ არის სომხეთის ახლანდელი პრეზიდენტი?
9. ვინ არის საქართველოს ჰიმნის ტექსტისა და მუსიკის ავტორი?
10. რომელი ოჯახის წარმომადგენელია ძუძუმწოვარი წყვილჩლიქოსანი ცხოველი ოკაპი?

### მესამე რაუნდი

11. რომელი თანავარსკვლავედის ალფა ვარსკვლავია ანტარესი?
12. რა ეწოდება ორსართულიანი სახლის ზედა სართულს ფშავ-ხევსურეთში?
13. რომელი უღელტეხილია მთიულეთ-ხევის გამყოფი?
14. როგორ ითარგმნება ესპანურ ენაზე ფრაზა „ბავშვის მყიდველი“?
15. ვინ არის საქართველოს მონარქისტული პარტიის ლიდერი?

### მეოთხე რაუნდი

16. რომელ ქალაქში უდგას ძეგლი სერგეი ბუბკას?
17. რომელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია ხოსე მარია ასნარი?
18. დაბადებიდან რამდენი წელი შეუსრულდა ედუარდ შევარდნაძეს 2003 წლის 25 იანვარს?
19. რომელ ამერიკელ დრამატურგს ეკუთვნის პიესა „ტრამვაი სახელად „სურვილი“?
20. რომელია ჯაკომო პუჩინის უკანასკნელი ოპერა?

### პირველი რაუნდი

21. ევროპის რომელ ქვეყანაში ტარდება ყოველწლიურად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი?
22. ვინ არის ბალეტების „სპარტაკის“ და „გაიანეს“ ავტორი?
23. რომელი ქართველი პოეტია პოპულარული სიმღერის, „ანო და ვანოს“, ტექსტის ავტორი?
24. რა ეწოდება გამოდნობით მიღებულ ლითონის მთლიან ნაჭერს?
25. რუსეთის რომელ ქალაქს უსრულდება 2003 წლის მაისში დაარსებიდან 300 წელიწადი?

**თუ კითხვები რთულად მოგეჩვენათ, უნდა გაიხსენოთ, რომ აუცილებელი არ არის ყოველ მათგანზე პასუხის გაცემა ანუ: 1) რომ არსებობს მაგიური სიტყვა „შემდეგი“„ 2) და რაც მთავარია - რომ სახლში ბრძანდებით და შეგიძლიათ დამხმარე ლიტერატურით ისარგებლოთ.**

რუბრიკას უძღვება ვახტანგ ელერდაშვილი

# ფანტაზიორი



### კითხვა №1

პირველი გეოგრაფიული ობიექტი ეკვატორისაგან რამოდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, მეორე კი მდინარე სულორის ნაპირას მდებარეობს...

**რომელი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ატარებს ორივე გეოგრაფიულ ობიექტს საკუთარ გვარში?**

* * *

### კითხვა №2

შარშან კანადაში გარდაიცვალა ამ ქვეყანაში არცთუ უცნობი ადამიანი პიტერ დენტი. საკუთარი ანდერძის პრეამბულაში პიტერ დენტმა მიუთითა, რომ მას ძალზედ აწუხებს ის ფაქტი, რომ მომრავლდა იმ კანადელთა რიცხვი, რომელნიც ცხოვრების მანძილზე იგნორირებას უკეთებენ „ამას" საკუთარი უმეცრებისა გამო, ამიტომაც ანდერძის თანახმად იგი მთელ თავის ქონებას უტოვებდა იმ ადამიანს, ვინც მის ანდერძში თორმეტ ცალ „ამას" აღმოაჩენდა...

**მაშ, თორმეტი რა უნდა აღმოეჩინათ მის ანდერძში, მისი მილიონების მაძიებელ ადამიანებს?**

* * *

### კითხვა №3

სამეწარმეო სფეროში გავრცელებული ერთი ფრაზის თანახმად - „*<u>პირველის</u>* კეთება *<u>მეორის</u>* გარეშე, იგივეა რაც გოგონას თვალი ჩაუპაჭუნო სიბნელეში" - თქვენ იცით რას აკეთებთ, გოგონამ კი ამის შესახებ არაფერი უწყის...

**მაშ, რა არის *<u>პირველი</u>* და *<u>მეორე</u>*?**

* * *

### კითხვა №4

სერგი მაკალათია მონოგრაფიაში „მთიულეთი" წერს:

„მთიულეთში არის გადმოცემა: ორ ძმა თაგაურს, სახელად აფსა-ს და ჩაღა-ს, ქისტეთში კაცი მოუკლავთ, მესისხლეობას გამოქცევიან და გუდამაყარში შემოხიზნულან...

**რომელი ორი ქართული გვარი წარმოიშვა ამ ორი ძმის სახელებისაგან?**

* * *

### კითხვა №5

ვინმე ელეონორ ტორნტონი დაიღუპა კუნძულ კრეტის ნაპირებთან 1915 წელს, როცა გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა გემი, რომელზედაც იგი იმყოფებოდა. თუმცა, ელეონორ ტორნტონთან დაკავშირებული უბედურებები ამით არ დასრულებულა. მსოფლიოში მრავლად არსებობს ადამიანი, რომლებიც ხსენებული ელეონორ ტორნტონის ფიგურამ გამოასალმა სიცოცხლეს, რადგან ეს ფიგურა სულ „წინ მიუძღვის" გარკვეულ სატრანსპორტო წარმომადგენლებს...

**მაშ, რა გახდა ამ მრავალი ადამიანის დაღუპვის მიზეზი?**

* * *

### კითხვა №6

უკანასკნელ ხანს „მოდაში შემოვიდა" ე.წ. დაჯგუფებებით მიღებული ცხრილები.

აჯგუფებენ მწერლებს, რომელთაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს, მხატვრებს, რომელთაც, ვთქვათ, რუსი მეუღლე ჰყავდათ და სხვა... ამ კითხვის ავტორიც აჰყვა ამ „მოდას" და ერთი ნიშნით დააჯგუფა ქალბატონები:

პეტრე ჩაიკოვსკისეული იოლანტა (ოპერიდან „იოლანტა"),

ვიქტორ ჰიუგოსეული დეა (რომანიდან „კაცი, რომელიც იცინის),

გაბრიელ გარსია მარკესისეული ურსულა („მარტოობის ასი წელიწადი") და...

**ქართული ლიტერატურის რომელი პერსონაჟი ქალბატონი შეიყვანა კიდევ ამ სიაში ამ კითხვის ავტორმა?**

* * *

### კითხვა №7

აშშ-ს მეთორმეტე პრეზიდენტმა, ზაქარი ტეილორმა, ერთხელ მოუწოდა ხალხს მიეგოთ პატივი განსვენებული დოლი მედისონისათვის, რომელიც აშშ-ს მეოთხე პრეზიდენტის ჯეიმს მედისონის მეუღლე გახლდათ. მის მიერ განსვენებულის შესახებ ნათქვამ სიტყვაში იყო ასეთი ფრაზა: „მრავალი წლის განვალობაში იგი იყო ჩვენთვის..."

**დაასრულეთ მისი სიტყვები ორი, უკვე ფრთიან გამონათქვამად ქცეული სიტყვით.**

* * *

### კითხვა №8

სქესობრივი კავშირის თემაზე დაწერილ ჩვენამდე მოღწეული კორეული ტრაქტატების უმრავლესობაში საუბარია ერთი, როგორც ჩანს, იმდროინდელი კორეელებისათვის ძალზედ მტკივნეული, პრობლემის გადაჭრის გზებზე და საშუალებებზე. ცნობილია ისიც, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ მთელი ცხოვრების მანძილზე ამ პრობლემის გადაჭრა ვერ შეძლო, აგული ერისთავმა კი ამ ამოცანას დიდი წარმატებით გაართვა თავი და არა ერთხელ...

**რომელი პრობლემის გადაჭრაზეა აქ საუბარი?**

* * *

### კითხვა №9

ისტორიას შემონახული აქვს თითქმის ყველაფერი.

ასე მაგალითად, 1872 წელს სანკტ-პეტერბურგში, მავანი ჩერქესოვის წიგნის მაღაზიაში იყიდებოდა დიდი ნაშრომი, რომელიც თავად ცენზორის მიერ იყო ნებადართული სიტყვებით:

„ამ წიგნის კითხვას არავინ არ შეუდგება, ხოლო ვინც დაიწყებს კითხვას - ვერაფერს ვერ გაიგებს"-ო...

იმასაც გეტყვით, რომ ეს ნაშრომი ბევრმა ჩვენმა თანამემამულემაც წაიკითხა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ ეს მხოლოდ სამსახურეობრივი მოვალეობის მიზნით გააკეთეს და არა საკუთარი სურვილით

**მაშ, რა ეწოდება ამ წიგნს?**

* * *

### კითხვა №11

ჩინელებს აქვთ ასეთი კერძი, რომლის სახელწოდებაცაა „ბროლის ხორცი", რომლის ინგრედიენტი რაღაცით მართლაც ჰგავს ბროლს....

**რა არის ამ კერძის ძირითადი შემადგენელი ნაწილი?**

* * *

### კითხვა №12

ლოს-ანჯელესი, ნიუ-იორკი, მეხიკო, რიო-დეჟანეირო, სან-პაულუ, ბუენოს-აირესი, ლონდონი, პარიზი, მოსკოვი, კაირო, ბომბეი, კალკუტა, ჯაკარტა, პუსანი, პეკინი, ტიანცზინი, ტოკიო და იოკოჰამა...

**კონკრეტულად რითი გამოირჩეოდნენ 1997 წლის მონაცემებით ეს ქალაქები მთელი მსოფლიოს სხვა ქალაქებისაგან?**

## მშვიდობიან მგზავრობას გისურვებთ!



**თარაზულად:**

1. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, რომელზედაც ოდესღაც მდებარეობდა ალექსანდრიის შუქურა. 4. დიდი ესპანელი ფერმწერი, დიეგო... 8. ავტორი რომანისა „ქალი კამელიებით". 14. ის, რისი ნათებაც ქრება ჭადრებში... ჩვენს მუსიკალურ სინამდვილეში. 15. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების აგებულებისა და ფუნქციების შემსწავლელი მეცნიერება. 17. კომპიუტერის „მყარი დისკის" მეორე, უფრო შინაურული, სახელწოდება. 18. არცთუ ახლო წარსულის ამერიკელი საესტრადო მომღერალი და კინომსახიობი. 19. ამერიკელი დრამატურგი, ავტორი პიესისა „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?" 22. დედამიწის ყველაზე გრძელი მდინარე. 23. ჯაკომო პუჩინის ოპერა, რომლის მოქმედებაც ჩინეთის დედაქალაქ პეკინში მიმდინარეობს. 24. მოსახელე, ანუ ვინ? 27. შენობის შიგნითა ფასადი. 28. ერთ-ერთი საფეხბურთო ამპლუა. 32. თბილისის მდინარეთაგანი. 33. ფრანგი ფერმწერი და გრავიორი, ჟან ონორე... (1732 - 1806). 34. რა ერქვა რუს მოგზაურსა და ვაჭარს, ნიკიტინს და რა ერქვა რუს პოეტს, ფეტს? 38. თეატრში მოკლული ამაერიკელი პრეზიდენტი. 39. ერთიანი ინგლისის პირველი მეფე (X საუკუნე). 40. მწვანეგულიანი ნაყოფის მქონე „თხილი". 43. რუსი ადმირალის, მიხაილ ლაზარევის, და რუსი ფიზიკოსის, ალექსანდრე სტოლეტოვის, მშობლიური ქალაქი. 44. მთიანი ყარაბაღის ადმინისტრაციული ცენტრი-ქალაქი. 47. გრძელი ფართო წამოსასხამი. 48. სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლო პროცესზე. 49. XVIII საუკუნეში მოღვაწე შოტლანდიელი პოეტი. 52. რა ერქვა „შაგრენის ტყავისა" და „მამა გორიოს" შემქმნელს? 53. ქება-დიდების ერთ-ერთი სიტყვა. 54. ციხე-ცხრაკლიტულის ერთ-ერთი სახესხვაობა. 59. ეპილეფსიის წინა სიმპტომები. 60. „რომეო და ჯულიეტას" პერსონაჟი. 61. დადგენილი ზომა, ანუ რა? 65. პრიამოსის ქალაქის ერთ-ერთი სახელწოდება. 66. როგორი შეიძლება იყოს რქოსანი პირუტყვი? 67. კესოზედ უიმედოდ გამიჯნურებული ვაჟი.70. ქალაქი უკრაინაში, ლვოვის ოლქში. 71. XX საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი მწერალი, ჯოზეფ არჩიბალდ... 72. დამშვიდობება ფრანგულად. 76. თანამედროვე ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. 77. რამოდენიმე მსხვილი ბანკის დროებითი გაერთიანება. 81. ვინ არის გურამ შარაძე? 82. ქალაქი თურქეთის ჩრდილოეთ ნაწილში. 85. ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ანტიკურ ფილოსოფიაში. 86. ავსტრიელი კომპოზიტორი, შემქმნელი ოპერეტებისა „ღამურა" და „ბოშათა ბარონი". 87. ერთ-ერთი რუსი დეკაბრისტთაგანი. 88. ერთ-ერთი ყოფილი სოცოალისტური სახელმწიფოს ფულის ერთეული. 89. რაიმეს კონტურული გამოსახულება. 90. რა არსებობს „ხევსურული" ჩვენს კინემატოგრაფში?

**შვეულად:**

1. ვინ არის რეჟისორი ფილმისა „რაჭა - ჩემი სიყვარული"? 2. სადაურია წარმოშობით იონ ილიესკუ? 3. ვინ არის ავტორი „განძთა კუნძულისა"? 5. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში. 6. პერსონაჟი ქალი გი დე მოპასანის რომანისა „ლამაზი მეგობარი". 7. მიხვეულ-მოხვეული, დაკლაკნილი გზა მთაში. 9. აშშ-ს უძველესი უნივერსიტეტი. 10. ანტონიო პიფაგეტის და ხუან სებასტიან ელ კანოს თანამგზავრი მსოფლიოს გარშემო გამართულ ექსპედიციაში. 11. პირენეების ნახევარკუნძულის უმაღლესი მწვერვალი. 12. ტირიფის ერთ-ერთი „ახლობელი" მცენარე. 13. სისუფთავის დაცვისათვის გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. 16. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი, ჯონ მოზეს... 20. სოფელი თიანეთის რაიონში. 21. ნიდერლანდის ქალაქი, ცნობილი 1575 წელს დაარსებული უნივერსიტეტითა და „ქილით". 25. მუსიკალური ნაწარმოების ტემპის განსასაზღვრი ხელსაწყო. 26. ფიდიასის ტაძარი ათენის აკროპოლისში. 29. გვარი კაცისა, რომელიც ყველას ყველაზე სასურველი კუპიურიდან უმზერს. 30. „(........) ყველა ქვეყნისა შეერთდით" - რომელი სიტყვაა გამოტოვებული? 31. კავალერიის ქვეგანაყოფი წარსულის ევროპულ არმიებში. 35. XX საუკუნეში მოღვაწე ნიდერლანდელი ფერმწერი, პიტ... 36. ერთ-ერთი საფეხბურთო ამპლუა. 37. მითოლოგიური არსება, რომელიც დაამარცხა ჰარი პოტერმა მეორე წიგნში - „ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი". 41. მილანის ფერწერული ტილოების გალერეა. 42. რა უნდა გაიაროს ჟურნალისტმა პრეს-კონფერენციის წინ? 45. სხეულის რომელიმე ორგანოს მოკვეთა ოპერაციის გზით. 46. რა ეწოდება ლექსს, რომლის სტრიქონების პირველი ასოები ადგენენ რაიმე სიტყვას? 50. ტბა ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. 51. მონღოლთა იმპერიის მმართველის ტიტული. 55. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 56. მოსკოვში „ნორდ-ოსტის" ტრაგედიის მომწყობთა მეთაურის (არანამდვილი) გვარი. 57. ქალაქი ვოლგოგრადის სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს. 58. პლანეტა მერკურის ძველქართული სახელწოდება. 62. ანთებითი პროცესის საწინააღმდეგო მედიკამენტი, სიცხის დამწევი საშუალება. 63. რა ერქვა „მამაცგულიანი" ხუანის ძმას პირველ ქართულად გახმოვანებულ სამხრეთამერიკულ სერიალში? 64. ერთი ფეხის წვერზე ერთი სრული ბრუნის შესრულება ბალეტში. 68. დიდი ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, მაიკლ... 69. ძველბერძენი ფილოსოფოსი, კინიკური სკოლის დამაარსებელი. 73. გენერლის შარვალზე დატანებული ზოლები. 74. ყირამალა, ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნება. 75. „ამორძალის" ჩვენში გავრცელებული რუსული ბარბარიზმი. 78. დოდო აბაშიძის კინოპერსონაჟის სახელი ფილმში „დათა თუთაშხია". 79. რა არის მასაჩუსეტსი? 80. ორგიის ტიპიური ქართული სახესხვაობა. 83. მდინარე საქართველო-რუსეთის ოფიციალურ საზღვარზე. 84. გამჭვირვალე მასა კვერცხის გულის გარშემო.



*შეადგინა*
*ვახო ელერდაშვილმა*

თავსატეხები

**Nonogram 1**

Columns (top to bottom): 3 | 2 2 | 2 1 | 1 2 | 4 1 | 3 6 2 1 1 | 11 1 1 1 | 12 1 1 1 | 2 7 1 5 | 2 6 1 3 | 2 6 1 3 | 2 6 1 3 | 2 6 1 1 | 2 6 2 1 | 2 6 1 2 | 2 7 1 1 | 12 1 2 | 11 1 1 | 3 6 2 1 | 5 1 2 | 5 2 1 | 4 3 | 3 | 2 | 1

Rows (left to right): 10 | 12 | 3 3 | 3 3 | 3 3 | 3 3 | 14 | 16 | 18 | 19 | 22 | 2 21 | 2 | 1 9 | 2 3 6 | 3 1 3 | 7 2 | 7 1 | 7 3 3 | 1 4

**Nonogram 2**

Columns (top to bottom): 6 | 8 | 3 | 5 | 7 4 | 3 8 | 2 3 1 | 2 5 | 2 7 | 6 3 1 | 5 2 1 | 1 4 2 2 | 3 10 | 1 2 6 | 3 6 | 5 8 | 11 1 | 9 5 | 7 1 5 | 5 1 1 | 8 | 2 2 | 5 | 3 | 1

Rows (left to right): 3 | 1 1 | 1 1 1 1 | 3 5 | 3 7 | 4 6 1 | 1 13 | 2 6 13 | 13 5 1 2 | 6 4 3 1 | 2 2 2 4 | 2 2 2 2 | 2 3 1 2 2 | 2 3 10 | 1 5 8 | 5 2 2 | 2 2 2 2 | 2 2 2 2 | 2 2 2 2 | 2 2 2




ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ
მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ
ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ




# Страны и столицы

Эти фразы, на первый взгляд, выглядят странн-ыми. Но присмотритесь повнимательнее - в каждой из них скрыто название какой-либо страны, и более того, название ее столицы! Вот, например:

*Франц и я заключили пари. Жак - свидетель.*

Видно невооруженным глазом, что здесь “спрятано”:

***Франц-и-я*** *заключили* ***пари-Ж****ак - свидетель.* (Франция - Париж).

**Другие примеры**:

1. На подоконнике стояли настурция и стакан карамели.

2. Несчастный, неужели вы до сих пор не изучили, откуда поставил коммерсант ягоду?

3. А теперь у меня вопрос: сия леди послала письмо сквайру?

4. Пассажир в пятом купе ругается: ему не выдали матрац.

5. Старатели Аляски, таймырские геологи! Будете в Анапе - киньте в море монетку.

6. Коллеги! Петров снова напился исподтишка, ириской закусил.

7. Помилуйте, Павел Иванович! На вашем месте я б ей рутинной работы не давал.

8. Друган Данила, верный мой, прибрал к рукам палас дверной.

9. Он к риску, батя, не привык, скажу я не солгав. А нам такой не нужен!

# განვაგრძობთ ექსპერიმენტს

**მოგეხსენებათ, ჩვენ გვაქვს სურვილი ქართული კროსვორდის შექმნისა... ამჯერად გთავაზობთ კროსვორდს ტექსტუალური ჩანერით**



**მარცხნიდან მარჯვნივ**: 7. შენობის შიდა ფართის შესასვლელი ნაწილი. 9. მეტისმეტად ახლო და მჭიდრო ურთიერთობა (ანუ როგორი?). 10. იაპონელი მწერალი (.......) აბე. 11. ფრანგი მსახიობი (.......) დელონი. 12. ამგვარად ანუ როგორ? 14. „ჩვენებური“ ციტრუსოვანი ნაყოფი. 15. ჩვენი ფილმი გოგი ქავთარაძის მონაწილეობით. 17. რა შეიძლება აერთიანებდეს „რობერტს“ და „დე“-ს? 18. ასე ვთქვათ, მოვალე - საბანკო-საფინანსო ტერმინოლოგიით. 19. ტომები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს რომის იმპერიის დანგრევაში. 22. იაპონური ჭიდაობის სახესხვაობა. 25. გოლიათის ძველბერძნული სახესხვაობა. 28. XX საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგი მომღერალი. 33. თბილი ქვეყნების ხშირის სტუმარი ფრინველი. 35. ფლორენციის დედა-მდინარე. 37. კავკასიური პურის სახესხვაობა. 39. სხეულის ცენტრი. 40. რუსი ქალების სახელი. 42. სროლის ხმა. 50. რუსული ზღაპრების მშვენიერი ქალბატონი. 52. საუკეთესო მსროლელი. 60. დროის ცვალებადი მონაკვეთი. 62. თეთრი ფხვნილი. 67. ერევნის ხელნაწერთა საცავი. 70. მსოფლიო კინოს ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი. 71. XX საუკუნის ისლანდიელი მწერალი.

**მარჯვნიდან მარცხნივ**: 13. პორტუგალიელი მწერალი (.....) დე კეიროში. 21. მადრიდის ხელოვნების მუზეუმი. 32. ჰარიეტ ბიჩერ სტოუს ბიძია. 34. თვალსაც აქვს და ოფიცერსაც. 38. მოქმედებათა განვითარების შესაძლო სახესხვაობა. 55. თბილისის „სპორტული“ რაიონი. 57. ბანგლადეშის დედაქალაქი. 59. ეს სახელი ლიტვურ-ლატვიურად თურმე „ბედნიერებას“ ნიშნავს. 61. „ციხის“ აღმნიშვნელი ბოლოსართი თუნდაც ჩვენს ტოპონიმებში. 64. სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად ისმის დღეს ქართულ (შიდასივრცობრივ) ბიზნესში. 65. როგორ მიმართავდა ერთდროს ნიკოლ კიდმანი მეუღლეს? 68. დამატებითი დრო. 69. ქსელის სახესხვაობა.

**ზემოდან ქვემოთ**: 1. რა „წარმომავლობითი“ ტიტული მიეკერა თუნდაც შერონ სტოუნს? 2. რუსული აზროვნების ერთ-ერთი გენია. 3. აბსოლუტური „არცოდნის“ გამომხატველი სიტყვა. 4. სიმინდის შემადგენელი ნაწილი. 5. გლობუსის ზედაპირის ბადის ნაწილი. 6. 90-იანი წლების ყველაზე ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 8. ჩვენი ენის „კომპლექსური“ კავშირი. 16. ამერიკელი მსახიობი (.......) დევისი. 20. სახელი შუა საუკუნეების რუსი მოგზაურისა. 23. კედელში ამოჭრილი ღრმული. 26. XIX საუკუნის ყველაზე გამოჩენილი ამერიკელი მოჭადრაკე. 27. არცთუ უცნობი ავგიას სამფლობელო. 31. სვანური არაყი. 36. წყალსატევის სახესხვაობა. 41. გადასახადის სახესხვაობა. 43. ჰემინგუეის რომანი „(.......) უხმობს ზარი“. 44. მიქაძეც და ელიავაც. 45. თაფლის საწარმო. 46. სათხილამურო სპორტის სახესხვაობა. 48. პირუტყვის გამრავლებით მიღებული „სარგებელი“. 49. იმპულსური ელექტრომაგნიტური გამოსხივების კოსმოსური წყარო. 51. ასე ვთქვათ, „ფრანგული“ პაემანი. 53. სახელი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომისრისა. 54. ფრანგი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „ლაკმე“. 56. XX საუკუნის 60-იან წლებში წარმოშობილი ერთ-ერთი ტექნიკური საოცრება. 63. სატრაქტორო ცენტრების აღმნიშვნელი ძველი საბჭოური აბრევიატურა.

**ქვემოდან ზემოთ**: 24. სიყვარულისათვის თავგანწირული აღმოსავლელი გოგონა. 29. ყვავილი, რომელიც 80-იანი წლების მიწურულს ყველაზე პოპულარული იყო საქართველოში. 30. ამერიკული „კინობოევიკების“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი. 47. სურინამის დედაქალაქი. 58. ქალაქი, სადაც „კედელი“ აღარ არის. 66. აღმოსავლური ლექსწყობის სახეობა. 72. სამხრეთამერიკული დედაქალაქი. 73. იძულებითი დასახლების სახესხვაობა. 74. მდინარე საფრანგეთში. 75. სიგრძივ გაჭიმული ბორცვი. 76. საქართველოს პირველი ქრისტიანი დედოფალი.

ჩვენი მკითხველების გარკვეულ ნაწილს კვლავ დიდი სურვილი აქვს ჩვენთან სატელეფონო საუბრებისა, ოღონ მიზნობრივად, ანუ გარკვეულ კითხვებზე პასუხების მომზადების შემდეგ. სწორედ მათ (...და განსაკუთრებით ჩვენს ყველაზე ერთგულ ნინოს!) ვთავაზობთ მოცემულ კითხვებს და მზად ვართ მოვისმინოთ მათი პასუხები გაზეთის გამოსვლის დღეს, პარასკევს, 31 იანვარს 20-დან 22 საათამდე ტელეფონით - 79-53-70. აქვე იქნება ერთი დამატებითი კითხვაც, რასაც გაზეთში არ ვბეჭდავთ და პირადად შევთავაზებთ მონაწილეს...

„კითხვა-პასუხი“ ჩატარდება 3 ტურად და საუკეთესო შედეგის მქონე „ფანტაზიელი“ ჩვენგან საჩუქრად მიიღებს ჩვენი უნივერსალური ენციკლოპედიის პირველი ნაწილის (ა - დ + ნობელის პრემიის ლაურეატების სრული სია) სრული და რედაქტირებული ტექსტის ქსეროასლს.

ეს არც ტურნირია და არც ჩემპიონატი, უბრალოდ სურვილია თქვენთან საუბარისა...

1. ვინ არის პირველი ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში?
2. რომელი ქართველი კინორეჟისორია შემქმნელი ფილმისა „ხევსურული ბალადა“?
3. რა ფსევდონიმი ჰქონდა ქართველ პოეტს მარიამ მარკოზის ასულ ალექსიძეს?
4. რომელი რუსი პერედვიჟნიკია ფერწერული ტილო „ბოიარინია მოროზოვეას“ ავტორი?
5. რომელი ინგლისელი მწერალია ავტორი რომანისა „ნიკოლას ნიკლბი“?
6. რომელ ქალაქში დაიბადა ოლიმპიური თამაშების სამგზის გამარჯვებული ვიქტორ სანეევი?
7. რომელ ქვეყანაში მდებარეობს ბალატონის ტბა?
8. გთხოვთ ჩამოთვალოთ აგული ერისთავის ვაჟების სახელები.
9. რა ეწოდება სამკუთხედში სამკუთხედის წვეროსა და ამ წვეროს მოპირდაპირე გვერდის შუაწერტილის შემაერთებელ მონაკვეთს?
10. ვინ დაამარცხა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში სამთავიანი ურჩხული ქიმერა?
11. გერმანიის რომელ ქალაქში ვითარდება თომას მანის რომან „ბუდენბროკების“ მოქმედება?
12. რომელი წლის რომელ თვე და რიცხვში იქნა მიღებული აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაცია?
13. რუსეთის რომელი იმპერატორი ავიდა ტახტზე ეკატერინე II-ის სიკვდილის შემდეგ?
14. რამდენი წყვილი ნეკნი აქვს ადამიანს?
15. რომელი ქართველი გახდა ოლიმპიური ჩემპიონი სეულის 1988 წლის ოლიმპიადაზე სპორტული პისტოლეტით სროლაში?
16. ადამიანის რომელი ორგანოს დაავადებაა ქოლეცისტიტი?
17. რომელი ქვეყნის ეროვნული დამწერლობებია ჰირაგანა და კატაკანა?
18. რა ეწოდება მკვდართა სამეფოს მფარველ ტურისთავიან ღმერთს ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში?
19. აშშ-ს რომელ შტატში მდებარეობს ჰარვარდის უნივერსიტეტი?
20. რომელი პოლიტიკური გაერთიანების ლიდერები არიან ალექსანდრე ჭაჭია და ჯუმბერ პატიაშვილი?
21. რამდენი ვარსკვლავია გამოსახული ჩინეთის დროშაზე?
22. რომელ ოკეანეში მდებარეობს მალდივეთის კუნძულები?
23. ვინ იყო ძველი რომის პირველი მეფე?
